

# შინაური საქმეები

№ 25.

კვირა 27 ივნისი, 1910 წ.

აღმსი: შუთისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

უოველკვირული გაზეთი.

შინაარსი: ჰუმარტი გზა:—მღვ. ი. ლუკი-ანოვისა; საზოგადოების საყურადღებოთ—დეკ. მ. სხირტლადისა; მოწერილი ამბები: დ. ხონიდან—ძვე-

ლისა. წერილი ჭრეპალოდან—დამსწრისა; წაღმა-უკუ ღმა-მოთხოვისა—კ. წუთისოფელისა; ყოვლად სამ-ღვდელო ლეონიდეს მოგზაურობა გურიაში.—მ

**უოველკვირულ გაზეთ**  
**„შინაურ საქმეებზე“**

ხელის მაწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო—კახაკაფის შესახვევში № 17) და თბილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ზ 50 კ.

გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

## ჰუმარტი გზა.

თანამედროვე მოძღვრებებში სიყვარული ამპარტაფუნულია, ცივია და ანგარიშიანი; წარმოდგება შეგნებით გარეგანი უფლებებისა და კაცის ღირსებისა, და რა თქმა უნდა, პირველად თავის საკუთარი უფლებების და ღირსებისა; წარმოსდგება ზრუნვისაგან საზოგადოებრივ მატერიალურ კეთილდღეობისა და პირველად თავის საკუთარ კეთილდღეობისა. მაშასადამე, აქ სიყვარული ყოფილა პირმოთნე და ყალბი. გარდა ამისა, ეს სიყვარული უნიჭაგოა. ეგოიზმიდან წარმოშობილი, და თავმოყვარეობაზე დამტკიცებული, იგი (სიყვარული) ჰჭრება და ისპობა მაშინვე, რაწამსაც სხვის სიკეთეს ჩვენი ზარა-

ლი მოაქვს. ქრისტიანობრივი სიყვარული კი დამყარებულია უმაღლესის სიმშვენიერის ილაღზე. იგი წარმოსდგება ღვთისაგან, მის განუსაზღვრელ სიყვარულისაგან ჩვენდამი. „ესრეთ შეიყვარა ღმერთმან, სრფელი ესე. ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდ-შობილი მოსცა მას, რათა ყოველსა, ჭუმელსა რწმენეს იგი, არა წარქსწყმდეს, არამედ აქნდეს ცხოვრება საუკუნო (იოან. 3, 16). ღვთის განუსაზღვრელი ჩვენდამი სიყვარული ჩვენშიაც იწვევს მოწიწებითი მისდამი სიყვარულს, როგორც ძღვენს მადლიერი გულისას, რომ აღარა ვთქვათ სახარების პირდაპირ მცნებაზე, რომელიც მოითხოვს ჩვენგან სიყვარულს ღვთისადმი (ლუკ. 10, 27; მათ. 22, 37; მარკ. 12, 30).

„ამითი ესცნათ სიყვარული მისი, ამბობს წმიდა მოციქული, —რამეთუ მან სული თვისი ჩვენთვის დასდვა... ამით გამოცხადნა სიყვარული ღვთისა ჩვენ შორის, რამეთუ ძე თვისი მხოლოდ-შობილი მოავლინა ღმერთმან სოფლად, რათა ესცხონდეთ მის მიერ; და ესე არს სიყვარული, არა, რამეთუ ჩვენ შევიყვარეთ ღმერთი, არამედ, რამეთუ მან ჩვენ შემოყვარნა, და მოავლინა ძე თვისი მღბინებულად ცოდვათა ჩვენთა.“ (ა. იოანესი, 3, 16; 4, 9-10). სხვა მოციქული ამბობს: „სიყვარული ღვთისა განფენილ-არს გულთა შინა ჩვენთა სულითა წმიდითა, რომელი იგი მოცემულ არს ჩვენდა: რამეთუ ქრისტე, ვიდრე იგი ჩვენ უძღურლა ვიყვენია, ეამსა



ოდენ უღმრთოთათვის მოკვდა რამეთუ ძნიად ვინმე მარტლისათვის მოკვდის; ხოლო კეთილისათვის ვინ უწყის, თუ უკვე იკადრისცა ვინმემ სიკვდილი. ხოლო გამოაცხადა თვისი იგი სიყვარული ჩვენდა მომართ ღმერთმან, რამეთუ ვიდრე იგი ცოდვილთა ვიყვენით, ქრისტე ჩვენთვის მოკვდა“ (რომაელთა 5, 5-8.)

ესეც უნდა ვსთქვათ, რომ სოციალისტური და მისი მსგავსი სიყვარული არის უმიზნო და მასთანაც უაზრო. რატომ და ვის გულისთვის უნდა მიყვარდეს, თუ რომ საბოლოო მიზანი ჩვენი ცხოვრებისა სიკვდილით თავდება და ამ ქვეყნის გარეთ აღარ მიდის, მაშ რაღათ უნდა შევიფიქროვოთ თავი, რაღათ უნდა შევიწუხოთ თავი რაღაცა განყენებული საზოგადოებრივი სიკეთის გულისთვის“. თუ იგი საზოგადოებრივი სიკეთეა, მაშ პირველად ჩემი იყვე, ჩემი ხელშესახები, რეალური, როგორც რეალურია თვით აწინდელი ცხოვრება, რომლის გარეშეც აღარაფერია, როგორც ამბობენ. თუ რომ არ არის ეს ჩემი სიკეთე, თუ რომ რეალურად არა ვგრძნობ მის სიამოვნებას, მაშ აღარ მინდა საზოგადოებრივი სიკეთეც, აღარ მინდა სხვისი სიკეთეც. მეტის მეტად საზარალო და ინტერეს მოკლებულია ეს სიკეთე. მაშ რისთვის უნდა მიყვარდეს მე სხვა, მარტო სიყვარულის გულისათვის?! ჩემი საკუთარი ტანჯვის გულისთვის?! ყოველივე ამას უნდა ჰქონდეს რაიმე აზრი, ან, ფილოსოფიური ენით რომ ვსთქვათ,—გონივრული პოსტულატები თავისთვის, უნდა ჰქონდეს მტკიცე საფუძველი. იტყვიან, უნდა გვიყვარდეს კაცი მისი ადამიანური ღირსების გულისათვისო. მაგრამ ვიკითხოთ, საიდან და რითი მტკიცდება ეს ღირსება? თუ შევხედავთ კაცს უღვთო სოციალისტურ მოძღვრებათა თვალთსაზრისით, არ შეიძლება რამე ადამიანის ღირსებაზე ლაპარაკი. ჩვენი აზრით, უფრო შესაფერისი იქნება, რომ აწინდელი სოციალისტური ფილოსოფიის მიმდევრებს ჰქონდეთ შეხედულობა ადამიანზე, როგორც აქვს შეხედულობა მათ ჩვენი დროის ლიტერატურის კერძს მაქსიმ გორკის, რომელსაც ადამიანი ჩამოჰყავს პირუტყვის მდგომარეობამდის. მართლაც და, მთელი სიბრძნე ახალმოდის მოაზრეთა—გორკის და მის ამხინაგობისა არ გასცილებია ველურ ცინიზმს. უკანასკნელი მათი სიტყვა—ეს პირუტყვზე თითქმის დაბლა დაყენებაა ადამიანისა. პირუტყვი საქონელი—აი ის იდეალი, რომლისკენაც უნდა მიისწრაფებოდეს ადამიანი,—ამ გრძენთა აზრით. „რატომ მხეცებს არა აქვთ ღალატი, არა აქვთ მრუშობა, არა აქვთ გარყენილობა? რატომ იმათ არა ჰყავთ გარყენილი შვილები? ნადირები მთლიანები არიან, ისინი თავისუფლად ატარებენ ცხოვრებას. იმათ ძიელ იციან სიყვარული. ადამიანი!“ (კრებული „Знание“—XXII, გვ. 262 1908).

დაე, თუნდაც მეფე იყვეს ადამიანი ბუნებისა, მაგრამ ეს მეფობა სრულებითაც საზარბიელო არ არის; მეფობს მოკლე ხანში; შემდეგი გადაიქცევა არარად, თვით იმ მტკრად, რომელზედაც იგი ჰმეფობს. ამაშია განა მისი ღირსება, რომლისთვისაც მას აქვს უფლება სიყვარულის და პატივისცემისა? ამნაირათ აქ არ არის, და არც შეიძლება იყვეს, ნამდვილი სიყვარული, იმიტომ რომ არა აქვს გამამართლებელი მიზანი და აზრი, და აგრეთვე არა აქვს ღირსეული საგანი.

ასეთი არ არის სიყვარული ქრისტიანობრივი. იგი არის დაფუძნებული, როგორც ზემოთა ვსთქვით, ღვთის სიყვარულზე ჩვენდამი, იგი ჩვენშია ც გამოიწვევს სიყვარულს, და მასში ჰპოვებს იგი თავის აზრს და გამართლებას უმთავრესი მისი მიზანი და საგანი—ღმერთია. შემდეგ, უმთავრეს მის შინაარსს შეადგენს სიყვარული მოყვების მიმართ ღვთის სახელის გულისთვის. „მან (ღმერთმან) სული თვისი ჩვენთვის დასდვა და ჩვენცა თანაგვადს ძმთათვის სულთა ჩვენთა დადება.“ (1 იოან. 3, 16). „საყვარელო! უკეთუ ღმერთმან ესრეთ შემიყვარა, ჩვენცა თანაგვადს ურთიერთარს სიყვარული“ (იქვე, 4, 11). „ესე არს მცნება ჩემი,—ამბობს მაცხოვარი,—რათა იყვარებოდეთ ურთიერთარს, ვითარცა მე შეგიყვარენ თქვენ. უფროსი ამისა სიყვარული არავის აქვს, რათა სული თვისი დასდვას მეგობართა თვისთათვის“ (იოან. 15,

12-13). ქრისტიანობრივი სიყვარული, გამომდინარეობს—რა ღვთის სიყვარულისაგან ჩვენდამი, საზრდოობს ქრისტიანობრივი სარწმუნოების იმ სასოებით, რომ ამ ქვეყნიური ცხოვრებით არ გათავდება ადამიანის არსებობა, რომ სააქაო, ქვეყნიური ცხოვრება არის მომზადება საიქიო, ზეციურ, უკვდავი ცხოვრებისათვის. სახარება გვიცხადებს ჩვენ ადამიანის პირად უკვდავებასა და ამითი იგი მალა აყენებს მას ყოველივე წარმავალზე, მიწიურ ქვეყნიერებაზე, ხსნის მიწიურ სინამდვილის აზრს, და მასთან გვიჩვენებს ჩვენ გზას ქეშმარიტი ცხოვრებისას, ქეშმარიტი სიღიადის და ბედნიერებისას, გვიმტკიცებს ადამიანის პიროვნების მალა-ღირსებას, რადგანაც ადამიანი არის გაჩენილი ხატად და მსგავსად ღვთისა. აქ, სახარებაში, ნამდვილად მტკიცდება ადამიანის მალალი ღირსება, მისი მეფური სიღაღე, მაშინ, როდესაც ამა ქვეყნის ბაძენთა ცდილობანი, ეგრედ წოდებული, ემანსიპაციისა, ცდილობანი, ალამალონ ადამიანი ნიციშეს „ზეკაცამდის“—ყოველთვის რჩებიან უნიდაგოდ. ბოლოს და ბოლოს მათი მოწიწებით ქებათა შესხმა და აღტაცება კაცობრიობის წინაშე—სრულიად ჰქრება და მტერად იქვეა ერთი წარმოდგენით, რომ მთელი ღირსება ადამიანთა, მთელი სღისადე და სიმწვენიერე, მთელი პატივი და დიდება, ყოველივე ეს ყალბია, ტყვილია, ჩრდილია, რომელიც ჩქარა უნდა გაჰქრეს, როგორც ბალახი ან ყვავილი ველისა. (ფსალ. 102, 15).

შედგვი ამაირი უნიდაგო ცდილობებისა იგივეა, როგორთანაც მივიდა ძველი აღთქმის მწერალი იმ აზრის წარმოდგენით, რომ ხვედრი ადამიანთა და პირუტყვთა ერთი და იგივეა; და რომ მაშინ აღარ აქვს კაცს უპირატესობა ცხოველის წინაშე, და რომ ყოველივე ეს ამაოებაა (ეკკლეს. III, 19). სულ სხვაა ქრისტიანული სარწმუნოების მოძღვრება ადამიანის პიროვნების ღირსებაზე, მთელი აზრი ქრისტეს სარწმუნოებისა მდგომარეობს სახელდობრ, ადამიანის ღირსების ამოღებაში, მის ცხოვრებაში, მის განდი-

დებაში, მინიჭებაში ხალხისათვის ბედნიერებისა და ნეტარებისა. აი ამის გულისათვის ძე ღვთისა ჩამოდის დედამიწაზედ, ხორცს იხხამს, ხდება კაცად, ყველაფერში ჩვენ მსგავსად, თვინიერ ცოდვისა. თავის განკაცებით ძე ღვთისამ უსაზღვროთ ალამალა ადამიანი. ამაზეა მიმართული მთლად მასი მოძღვრება, მისი სახარება. ამოღდა რა ზეცას იმან ალამალა ღვთაებამდის კაცობრივი ბუნება, დასვა რა კაცობა „მარჯვენით ღვთისა“ (მარკ. 16, 19). „იესო ქრისტეს ამოღებაში, — ამბობს წმ. იოანე ოქროპირი, — ჩვენ, რომელნიც მიწის უღირსადაც ვჩანდით, ავმალდით ზეცას; ჩვენ, არა ღირსნი ქვეყნიური მეუფებისა, ავმალდით ზეციურ მეუფებამდის“... მაშასადამე, მხოლოდ სახარება აძლევს აზრს ადამიანის ცხოვრებას, მხოლოდ იმაზეა დამყარებული მალალი ღირსება პიროვნებისა, მხოლოდ სახარების მოძღვრების ნიადაგზე აღმოცენდება ქეშმარიტი კეთილი საქმე, ის ნამდვილი სიყვარული, რომელიც ხდის შესაძლებელად ხალხის ერთმანეთთან პატიოსნურად ცხოვრებას, და რომლისგანაც გამომდინარეობს სიკეთე, როგორც საზოგადოებისა, ეგრეთვე სიკეთე და ბედნიერება კერძო პირისა, ესე იგი, ხდება მისაბწვეად ის უმთავრესი მიზანი კაცის ცხოვრებისა, რომლისკენაც ბუნებრივად მიისწრაფის ადამიანი. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ საზოგადოებრივ სიკეთეზე, ჩვენა გვაქვს მხედველობაში საზოგადოება, არა როგორც რიგე განყენებული ცნება, რომლის მსხვერპლადაც მიტანილ უნდა იქმნას კაცის პირადი ბედნიერება, არა, არამედ საზოგადოება გვაქვს წარმოდგენილი, როგორც რაოდენობა ანუ შეერთებულება ადამიანის კერძო პიროვნებათა, ბედნიერების ნამდვილ მექონეთა. აი რატომ არის, რომ საზოგადო სიკეთე არსებითად ჩამოდის კერძო სიკეთეზე, და არა წინააღმდეგ, როგორც ფიქრობენ ჩვენი დროის მოწინავე მორალისტები. იგი საზოგადო სიკეთე შეიქმნება არა სოციალური დოქტრინების განხორციელებით, რაც უნდა კარგად და მიზიდველად მიგვაჩნდეს ისინი, არამედ კერ-

ძოდ ადამიანის პირადი ღვაწლით. აი ამიტომ სახარება იქერს საქმეს მხოლოდ კაცის პიროვნებასთან, და მიჰპართავს მის სულს. მაცხოვარი იესო ქრისტე არ ლაპარაკობს თავის მიმდევართა არავითარ იურიდიულ უფლებებზე, პოლიტიკურ თავისუფლებებზე, გარეგან სოციალურ თანასწორობაზე, იგი გვახარებს ჩვენ უფრო მომეტებულს, სახელმობრ, უმაღლეს ღირსებას კაცის პიროვნებისას. ამიტომ, უექველია, არ ამბობს იგი არაფერს მ.ს. თანამედროვე ხალხის პოლიტიკურ წესწყობილებაზე, არც არავითარ პოლიტიკურ თავისუფლებაზე და თანასწორობაზე, რომ თავისუფლება და თანასწორობა ეკუთვნის მხოლოდ პიროვნებას. სახარება მალე გვაყენებს ჩვენ ცხოვრების დროებით ფორმებზე: „შაბათი კაცისათვის დაებადა, და არა თუ კაცი შაბათისათვის“ (მარკ. 2, 27). კაცი თვით უფალია თავის თავისა და არ უნდა იყვეს იგი მონად ამ დროებითი, წარმავალი ცხოვრების შემთხვევითი ფორმებისა; პირიქით, კიდევაც უნდა უფლებდეს მათზე. იგი თითონ უნდა ჰქმნიდეს თავის ედნიერებას, რომელიც არ უნდა დაუქვემდებაროს თავის გარეგნულ მდგომარეობის უკუღმართობას. ქრისტიანმა არ უნდა უფლებებელჰყოს ის წოდება და სამსახური, რომელიც ზედა მას გარეგნულ მდგომარეობაში, მოსამსახურეა იგი თუ ბატონი, იმიტომ რომ „ყველანი მოსყიდულნი არიან ძვირფასი სასყიდლით“ (1 კორინ. 7, 23)— ამბობს წმ. მოციქული „კაცად კაცადი, — ურჩევს იგი, — ჩინებთა მით, რომლითაცა იჩინა მას ზედაცა ეგენ. მონათ თუ იჩინე, ნურა გეურვებინ; არამედ დაღათუ ძალგედვას განთავისუფლებაო, უფროსდა იხვიე. რამეთუ, რომელი უფლისა მიერ იჩინოს მონათ, უფლისა მიერ განთავისუფლებულ არს; ეგრეცა აზნაური, რომელი იჩინოს, მონა არს ქრისტესი“ (ა. კორინთ. 7, 20-22). ქრისტე იესოს მიერ „არა არს წარმართ, და ურია, წინა-დაცვეთილება, და წინადაუცვეთელება, ბარბაროს, სკვითელ, მონება, აზნაურობა; არამედ ყოვლად ყოველსა შინა ქრისტე“ (კოლოს. 3, 11). ქრისტიანობრივი სარწმუნოება

გვასწავის, რომ მიზეზი ჩვენის ბედნიერებისა თუ უბედურობისა თითონ ჩვენ შივეა, — ცოდვა. უფალი ჩვენი იესო ქრისტე მოვიდა ქვეყნად ცოდვილთა ცხოვრებად (1 ტომით. 1, 15). იგი გვიწოდებს ჩვენ, ვებრძოლოთ ცოდვას, იმიტომ რომ ყველაზე ცუდი მონობა არის მონობა ცოდვისა „ყოველმან, მომელმან ჰქმნეს ცოდვა, მონა არს იგი ცოდვისა“ (იოან. 8, 34). ჩვენ უნდა ვცდილობდეთ გამარჯვებას ცოდვაზე, დათრუგენას თავის ბიწიერ მიდრეკილებათა, რომ მივილოთ სიკეთე ნამდვილი თავისუფლებისა, ამ პირველი და უმთავრესი პირობის ადამიანის პიროვნების ღირსებისა, ესე იგი, მივილოთ თავისუფლება ზნეობრივი, თავისუფლება სიწმიდისა, თავისუფლება „ღვთის შვილთა“. ადამიანს შეუძლიან ასეთი თავისუფლება შეიძინოს სახარების ქეშმარიტების მიღებით და შეთვისებით, ქრისტეს მცნებათა შესრულებით. მაცხოვარმა უთხრა მორწმუნეთა მათ მისთა ურიათა; „უკეთუ თქვენ დაადგრეთ სიტყვათა ჩემთა, ქეშმარიტად მოწაფენი ჩემნი ხართ; და სცნათ ქეშმარიტი და ქეშმარიტება მან განგათავისუფლენს თქვენ“, და შემდეგ: „უკეთუ ძემან განგათავისუფლენს, ქეშმარიტად თავისლფალ იყვნეთ“ (იოან. 8, 37-38; 36). „აზნაურებასა (თავისუფლებასა) ჩინებულხართ (მოწოდებულხართ), ძმანო; გარნა აზნაურება ეგე ნუ მიზეზად (იქმნების) ხორცთა; არამედ სიყვარულისა მისთვის ჰმონებლით უთიერთარს“ (გალ. 5, 13). „ვითარცა აზნაური (თავისუფალნი), და აზნაურობა ეგე (თავისუფლება) ნუ გექნებათ საფარველად უკეთურებისა, არამედ ვითარცა მონანი ღვთისანი“ (ა. პეტ. 2, 16) აი ნამდვილი, უმაღლესი თავისუფლება, თავისუფლება ქრისტიანული, რომელიც მდგომარეობს ერთმანეთის სიყვარულით მსახურებაში, მდგომარეობს არა თავის უფლებათა დაცვაში და მათ მეძიებლობაში დასაკმაყოფილებლად თავის პირად მიდრეკილებათა და მისწრაფებათა, — არამედ თავის თავის შეზღუდვაში მოყვანის სასარგებლოდ ღვთის გულისთვის, ღვთის

მცნებათა დამორჩილებაში სიხარულით და აღფრთოვანებით.

ანაირათ მხოლოდ სახარების მოძღვრების სინათლეზე ეძლევა აზრი ჩვენ ქვეყნიურ არსებობას. მხოლოდ ამ მოძღვრების ნიადაგზე აღმოცენდება ბედნიერება კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებისა, რამდენათაც შესაძლებელია ამ ქვეყნადვე, რომ არა ვთქვათ, რასაკვირველია, საიქიო, ზეციურ ცხოვრების ნეტარებაზე. ამ მოძღვრებაში ჰპოვებენ განმარტებას, ახსნას სოციალური კითხვები ძმობაზე, თავისუფლებაზე და თანასწორობაზე. ამიტომ სახარება უნდა იყოს უეჭველად აღიარებული ხალხის ცხოვრების ხელმძღვანელად. იგი არის ის საფუძველი, რომელზედაც მხოლოდ შეუძლიან განვითარდეს ღირსეული, გონივრული და ნამდვილად-ბედნიერი არსებობა ადამიანისა ამ ქვეყნადაც-კი. მაგრა შეიძლება სთქვას ვინმემ, და მართლაც ხშირად ამბობენ ეხლა, რომ ძნელად თუ კაცი უარ-ჰყოფს სახარების დიდ მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრებაშიო. ეს თუმცა ასეა, მაგრამ საკმე იმაში მდგომარეობს, რომ სახარება, როგორც მოძღვება, ერთნაირად არ ესმის ხალხს: ერთს ესმის ასე, მეორეს—ისე, მაშასადამე იბადება კითხვა: სად არის გზა სახარების ნამდვილი გაგებისა? სად არის იმის თავმდები, რომ სახარება უნდა გვესმოდეს ისე, და არა—ასე? ეს კითხვა გვაგზავნის ჩვენ სხვა კითხვასთან, ეკლესიაზე, რომელიც არის ს.ლარო ქეშმარიტებისა, უცოთმელი დამცველი ქრისტეს მოძღვრებისა და მისი ნამდვილი ამსენელი.

**მლ. ალანე ლუკიანოვი.**

(დასასრული იქნება).

1910 წ. 23 აპრილი.



## საზოგადოების საუურადლებით.

რაქის მაზრაში, შემდგომ ნიკორწმინდის ეკლესიისა, პირველი ადგილი უკავია წესის ბარაკონის ტაძარს, როგორც სიდიდით, გერეთვე გეგმით და შესანიშნავა ჩუქურთმით. ეს ტაძარი შეადგენს დიდებას და სახელს მთელი რაქის ხალხისას. იგი, ყოველ ექვგარეშე, არის ნაყოფი რაქის ხალხის წინაპრების შრომისა და მოქმედებისა. თუმცა მას ფლობს თავადი ერისთავი და მიაჩნია იგი თავის წინაპრების ნამოქმედართ, მაგრამ ოფლის ღვრით და შრომის ტირთვით, როგორც ზევით ვსთქვით, აუცილებლათ იქნებოდა დაკისრებული რაქის მუშა ხალხი. ამ ჩვენ დროში ესრეთი დიდებული ნაყოფი ხალხის შრომისა განიცდის შემმუსრავს მოქმედებას და გავლენას სტიქიურ მოვლენათა. სახურავის სრულიად უვარგისობისა გამო, ჩადის მასში, ყოველ ადგილას წყალი და ამ სახით ზიანდება შენობა ტაძრისა, რომელიც დიდ ხანს ვედარ გაუძლებს ესრეთ მოქმედებას ბუნების მოვლენათა და სასირცხოდ ჩვენდა, და სამწუხაროთ ყოველი შეგნებული კაცისა, დაიკვევა ესეთი დიდებული არხელოგიური ნაშთი.

1903 წლიდამ, როდესაც მე შევნიშნე უმეტესი უვარგისობა მისი სახურავისა, ვ წყე მიწერ-მოწერა იმერეთის ეპარქიის მთავრობასთან იმ აზრით, რომ რაქის მაზრის ყველა ეკლესიებიდამ შეკრებილიყო ფული სადაც კი ეგვეითარი ცოტათ მიინც თავისუფალი, ხელმისაწდომი იქნებოდა და ამ რიგის საშვალეებით დაცულიყო აღნიშნული ტაძარი დაქვევისაგან, მით უმეტეს, რომ, როგორც აღნიშნული ტაძარი შეადგენს შრომას და კუთვნილებას რაქის ხალხისას, ეგრეთვე სხვა და სხვა ეკლესიების ფულებიც არის მისი საკუთრება და მითი დაცვა მისი სასიკადალო ნაშთისა არის კანონიერი. სამწუხაროდ ესრეთს აზრს არ თანაუგრძენს რომელიმე ეკლესიის

მსახურთა და ღვინის არ სჩანს არასფერი შეწირულების შეკრება არც ეკლესიებიდამ და არც მისი მრევლებიდან. უქველია ეს ხდება იმ მიზეზისა გამო, რომ ვერა გვაქვს კარგათ შეგნებული ის აზრი, თუ რაოდენათ მოვალენი ვართ, უმეტესათ სამღვდლონი, დავიცვათ დაქცევისა და მოსპობისაგან ეგვიტარი ნაშთები, რომელნიც არიან ცხადი გამოხატველნი ჩვენი წინაპრების ღრმა და მაღალი სარწმუნოებისა. მათგან ჩვენ დიდათ დაშორებულნი და განსხვავებულნი ვართ ეგრეთის ნაყოფის შექმნისაგან, მაგრამ მას მაინც უნდა ვსცდილობდეთ, და ზნეობათაც მოვალენი ვართ, დავიცვათ მათგან დატოვებული ნაშთები და გადავსცეთ შთამოგებას სარწმუნებელად და წარმოსადგენათ მისა, თუ რაზომ მაღლა იდგნენ ჩვენი წინაპარი სარწმუნოებით და ზნეობით.

საქმის მსვლელობიდან სჩანს, რომ რაკის ეკლესიებიდამ მოკრებილი ფული, რაიცა უნდა მოხდეს, არ ეყოფა ამ ტაძრის რიგინად დახურვისა და რემონტის დასრულებას. ამისათვის აუცილებლათ საჭირო ხდება, რომ მთელმა ჩვენმა საზოგადოებამ მიიღოს მონაწილეობა ამ საერო საქმეში და შექმნისა დავარად შეეწიოს მას. შეწირულება უნდა წარმოიგზავნოს ს. წესის ფოშტის განყოფილებით ჩემს სახელზედ, უკეთუ ვნმე გვე ვითარს გადასდებს.

ბლად. დეკ. მ. სხირტლაძე.

### წერილი ხონიდან.

დასა ხონის ძველი საკრებულო ტაძარი. ხონის ტაძარი ერთ უძველეს ტაძართაგანია ქვემო იმერეთში და თავის მხატვრობით და შენობით არქელოგიურ ნაშთს წარმოადგენს. აქ ისხდნენ ხან-გამოშვებით მღვდელმთავრები და მართავდნენ თავიანთ სამწყსოს. ამ ტაძართან არსებობდა სკოლა, რომელიც ამხადებდა სამღვდლო და საღვინო პირთ. როგორც საზოგადოდ მაშინდელი სკოლებში,

აქაც უმთავრესი ყურადღება მიქცეული ქონდა საეკლესიო მწიგნობრობას, გალობას და ტიბიკონს...სულ ქვემო იმერეთში ზემოხსენებულ საგნების გამავრცელებელი ხონის სკოლა იყო უკანასკნელ საუკუნემდის (იქონიეთ სახეში XIX საუკ.) რომელიც საქართველოს ცხოვრებაში ახალ ხანათ უნდა იავლებოდეს. მე XIX საუკუნის პირველ ნახევარში კიდევ ედგა აქაურ სკოლას სული და თუ დარჩენილა იმერული გალობა და საღმთო წიგნების კარგა მკითხველები ხონში და მის მხლობელ სოფლებში, რომელნიც თითებზე ჩამოითვლება, ისევ იმ სკოლის წყალობით, რომლის უკანასკნელი კითხვის და გალობის მკოდნე—გამავრცელებელი, ეგრედ წოდებული, სიმონ-კუტი (ფირცხალავა) იყო; უკანასკნელი მასწავლებელი ხონის ტაძართან ის იყო და მის გადაცვლების შემდეგ ხონში და მისმა მახლობელმა სოფლებმა დაკარგა საუკეთესო მკოდნე და ხელმძღვანელი კითხვის და გალობის; შემდეგ აღარ გამოჩნდა ისეთი ვინმე, რომ განეგრძო ხსენებული საქმის გაგრძელება, არა თუ საეროთა შორის, არამედ თვით იმ კრებულთა შორისაც; რომელიც საქმეს სათავეში უდგა, არ აღიძრა მათში სურვილი, რომ შენახულიყო ძველ ტაძართან ძველი მისი ღვინა მწიგნობრობა-გალობისა (მაშინდელი კრებული სულ სხვა რამით იყო გართული ვიდრე ამისთანა საქმე). ახლანდელ კრებულთა შორის არ მოიპოვება კარგა მკოდნე კითხვა-გალობის, განსაკუთრებით მედავითნეთა შორის, რომელთაც სურვილი და უნარი დაკარგული აქვთ ყოველივე კოდნის შეძენაზედ (აქაური კრებული შვიდ წევრიანია). აქაურ საწიგნედგან ვერ გაიგონებ საღმთო წიგნის რიგიან წაკითხვას, რომ მორწმუნე მლოცველა სულიერათ დაკმაყოფილდეს, თუცა აქაურ სასწავლებლების წყალობით გაიხმის ტაძარში კვირა უქმე დღე რუსული და

კახური გალობა, მაგრამ ისიც ხანგამოშვე-  
ბით. 1)

აქაური მოძღვრები ტვირთ-მძიმენი ვაკვე-  
თილებით ძლიერ ცოტას ზრუნავენ ტ ძარზედ  
და სამრევლოზედ, რადგან მათთვის ტძარი  
და მისი სამრევლო მეორე ხარისხოვან საგნათ  
აქვთ მიჩნეული (იქონეთ სახეში თვ თეულს  
4-5 ვაკვეთილი აქვთ დღეში). ძალიანაც  
რომ მოინდომონ ფიზიკური ძალაც ვერ შე-  
წევს რომ ყოველივე რიგიანათ ემსახურონ  
მკითხველისთვის მიმიღვია, როგორი იქნება  
დილით ორი ვაკვეთილის მიცემა შემდეგ წირ-  
ვა და ბოლოს 1-2 ვაკვეთილის დამატება,  
მერმე მრევლში წასვლა მღვდელმოქმედების  
შესასრულებლათ; სად იქნება მოძღვარი დამ-  
შვიდებული, შკოლაში, ეკლესიაში თუ მრევ-  
ლში მღვდელმოქმედების შესრულებაზე? ხონ-  
ში ჯერ კიდევ მორწმუნე ხალხი ცხოვრებს  
რომელიც მიჩვეულია ტძარში სიარულს,  
გალობის მოსმენას, გარკვევუ სამლოა წიგნე-  
ბის კითხვას, ლობიერ წირვა ლოცვას, უყ-  
რს სჯა ბაასი ქრისტეს სწავლა-ქადაგებაზედ  
და სხვა... ხედავს რომ ეს ყოველივე მის  
თანდი თანობით ხელთ ეცლება და მის სუ-  
ლის და გრძობის დამაყმაყოფილებელს ვერას  
პოებს, მასაც გულა უგრილდება და ბოლოს  
დადგება ის დროც რომ მას გვერდი აუაროს  
რაც უკვე ბევრგან მოხდა; ეს ბრალი.

ვისი იქნება? ბევრის და ყველა ჩვენგანის,  
მაგრამ უდიდესი და უმეტესი სულიერ მოძღვარ-  
თა, რადგანაც ძლიერ ცოტას ზრუნავენ  
სულიერ და ზნეობრივ ქრისტიანულ აღზრდა-

1) თუმცა ზოგიერთ პატივცემულ პირთა რჩევით  
და დახმარებით აქ მოკიდეს ხელი იმერულ გალობის  
შესწავლას ნოტებზედ გადადებულს ქარიძის მიერ.  
გალობას ასწავლის ბ. ბახტაძე; ლოტბარი აქაური  
სასწავლებლების, 2-3 თვეა გალობის მსურველები  
ძლიერ ცოტანი აღმოჩნდა; ბ. ბახტაძე შრომობს,  
რაც შეიძლება. მაგრამ იმედი ცოტაა; რომ ბოლომდე  
დაგვირგვინდეს მისი შრომა, ჩვენებური ქართული  
გულ-გრილობა თავისას გაიტანს პატივცემული ბ. ქო-  
რიძე თვით მაც-დინობდა და ასწავლიდა გალობას აქ  
რამდენიმე თვეს, მაგრამ წასვლისათანავე ბ. ქორიძის  
მისი ნასწავლები გალობაც თან გაყვა; უსურვებ ბ.  
ბახტაძეს გამოეჩინოს უნარი და თავისი შრომა აოლომ,  
დე დაესრულებიოს.

ზე თავიანთ სულიერ შვილების. დროა  
რომ მოძღვრებმა მეტი მხნეობა გამოი-  
ჩინონ და, მინამ მორწმუნე ხალხი გულს,  
გაიგრილებდეს, ეცადონ, ძველ ტძარს შეანარ-  
ჩუნონ მისი ქრისტიანული განმაცხოველებე-  
ლი ძალა შინაგანიც და გარეგნულიც, არ  
დაუკარგონ საუკუნოებით მოპოებული და  
გამტკიცებული.

ხონის ტძარს წასულ საუკუნოდაგანე პატ-  
რონ-მოძღვრელი. გულშემატკივარი აღარ ყავდა  
რასაც ამტკიცებს მისი ქონების მითვისება კერ-  
ძო პირთაგან და თვით ყოფილ მოძღვართაგან.  
ტძარს დიდი ადგილები ქონდა დ. ხონში,  
მაგრამ თანხმათ უმაღლესი ბრძანებისა საეკლეს-  
სიო ადგილების გადარიცხვისა სახაზინოთ, მა-  
საც ეს ბედი ეწვია, მხოლოდ მას მაინც საკ-  
მაო ადგილები დაუტოვეს, მაგრამ მოუარეს და  
უპატრონეს მაშინდელმა წინამძღვრებმა? აი  
თუნდ აღმოსავლეთით ადგილები, მდებარე  
მოდებით ტძარზე, ვის ხელშია დღეს?  
ტძარის წინ მოედანი, ეხლანდელი დ. ხონის  
ბაღი, რომელშიდაც რამდენიმე საფლაფია  
მოყოლილი, მოწამე იმისა, რომ ის ტძარის  
ეზო და სასაფლაო იყო? დასავლეთით მდებარე  
ადგილი 3-5 ქცევა, მიყიდული ქავთარაძე-  
ზედ როგორღაც მოხერხებით სასულიერო  
მთავრობის ნებართვით, სულ მცირე ფასათ,  
რომელიც დღეს 8-10 ათასი მანეთი ღირს  
და სხვა?..

ასეთივე გულმოდგინეთ მოპყრობა ტძარ-  
ის ადგილზედ გრძელდება ახლაც; რით და  
რას სარგებლობს დღეს ტძარი იმ მეორე ნა-  
ქერი ადგილით რომელიც გაუყიდელია? ხონის  
შუა გულში 3-4 ქცევა ადგილი სულ ოთხ-  
ხუთ მანეთს აძლევს. ესეც ერთგულდებაა!...

მაგრამ ყველაზე უმეტეს ცოდვათ უნდა  
ჩაითვალოს უპატრონობა ეხლანდელ იმ პატარა  
მოედან-სასაფლაოსი, რომელიც შერ-  
ჩენია დღეს ტძარს, რომელზედაც დგას  
სამრევლო სკოლა და სამი-ოთხი სენაკი. ეს  
ხსენებული ადგილი გზად გადაქცეულა, მი-  
ცვალბულებს საფლაფები ეტლთ და მგზავრ-  
თა ფეხ სათელათ გამხდარა. ახლა ზედ, რომ

გორც ხმა დადის, გადივლის სამტრედია-ხო-  
ნის შარა გზა (რომელიც ეხლა ხან გაყავთ  
და კეთდება, მუშაობა უკვე დაწყებულია) თუ  
ეს ასე მოხდა, მართლაც ითქმება, რომ პატ-  
რონი აღარსით ყოფილა, არც ახლანდელ  
კრებულოა შორის და არც მრევლში, როდეს-  
საც ხედვენ ასეთ მოქმედებას და ყურს არა-  
ვინ იბერტყავს; არ შეშვების აქაურ კრე-  
ბულსა ყოველივე გულ-გრილად გადაიტანოს.  
აბა რა გადასატანა თვალ-წინ მიცვალებუ-  
ლების საფლავზედ იჯიგჯიგოს ეტლუ-  
ბმა, ხან ერთი ბორბალი მოედოს მიცვალე-  
ბულის საფლავის ქვას და ხან მეორე. ყოვე-  
ლი ერი, რა სარწმუნოებისაც უნდა იყოს ის  
დიდი პატივისცემით ეპყრობა თავის მიცვალე-  
ბულთა სასაფლაოს. ამ გრძნობას არც ჩვენ  
უნდა ვიყოთ მოკლებულნი. და ამის პასუხს  
მოითხოვს გონიერება და სარწმუნოებრივ  
გრძნობა პირველათ მოძღვრებიდგან და შემე-  
დევ ყოველ შეგნებულ და მორწმუნე ქრის-  
ტიანეთაგან. როგორც გავიგე წიგნს რევიზიონ-  
დროს ყოვლადსამღვდელოს ყურადღება მიუ-  
ქცევია ამ გარემოებისთვის და უბრძანებია  
ადგილობრივ ბლაღოჩინისთვის, რომ საქმის  
თვის მსგელობა მიეცა, თუ ეს მართალია  
რათ არის დღემდე ემ საქმე შეჩერებული  
არც ადგილობრივი კრებული, და არც  
ბლაღოჩინი ყურს არ იბერტყის.

ტაძა რთან არის ერთ კლასიანი სამ-  
რველო შკოლა, რომელიც უფრო კარგ ნია-  
დაგზე უნდა იყოს დაყენებული და სამაგალი-  
თოთაც უნდა ითვლებოდეს, მაგრამ ამაზედ  
შემდეგ მივაქცევ მკითხველთა ყურადღებას.

ძველი.

### ქრეპალო.

ადგილი ჭრებალო მდებარეობს რაჭა-ლეჩხუ-  
შის მხარის განაპირა სამხლევარზედ შოსის გზის  
მარად და შედგენს ლეჩხუმის მხარის ნაწილს.  
ადგილის მდებარეობათ ჭრებალო წარმოგვაგვიჩინს

ვაკე გაშლილ მშენებელ სურათს. სამხრეთით ჩა-  
უდის მდინარე რიონი, ჩრდილო-აღმოსავლეთით  
მდინარე ასეო, რომელიც იქვე ერთვის რიონს. ეს  
წლები ვოფენ და სხვარაყენ ზემოხსენებულ  
რაჭა-ლეჩხუმის მხარეს. აქ არსებობენ სტანცია,  
აფთქა და სხვადასხვა სახელოსნო და საკარო  
დუქნები. ამ ადგილს კარშემო არტეია სხვადასხვა  
მახლობელი სოფლები ერთავე მხარას, მცხე-  
რები ამ სოფლებისა დიდხანია, რაც აქ ფოსტა-  
ტელეგრაფის განყოფილების დაარსებას ცდილობდნენ  
და ესწრაფებოდნენ; ბოლოს, ბევრი ხარჯისა და  
შრომის შემდეგ, დაარსეს კიდევ სხენებული ფოს-  
ტატელეგრაფის განყოფილება. ამ საქმეში უკვლავ  
წოდების შირმა მიიღო მონაწილეობა. 13 ამა  
ივნისის თვეს აკურთხეს სხენებული ფოსტატელე-  
გრაფის სადგური. კურთხევაზე დაესწრეს სხვა-  
დასხვა საპატრიარქო შირები და ბლომით სოფლის ხალ-  
ხი ორივე სქესისა. კურთხევა შესრულდა დეკანოზ-  
მა მ. ნიკოლოზ ფრუიკემ სხვა სამღვდელთა  
თან დასწრებით და კურთხევის შემდეგ მო-  
კლე სიტყვა: „მოვიწოდებ რა ღვთის მადლ-  
სა და კურთხევას, მოგიდგინეთ ამ დიადი და  
ფრად მნიშვნელოვან საერთო სასარგებლო საქ-  
მის—ფოსტატელეგრაფის განყოფილების დაარსე-  
ბას. ფოსტატელეგრაფის უსაჭიროების ადგილი  
უჭირავს დღეს თავის დანიშნულებისამებრ ხალხის  
ცხოვრებაში. წინეთ აშდები მოთხოვნილება ფოს-  
ტატელეგრაფის საჭიროებაში არ იყო. დღეს კი  
იმდენათ გავრცელდა ხალხში ეს მოთხოვნილება,  
რომ ბევრ ადგილს საჭირო ხდება და საჭიროება,  
იწვევს ესრეთი დაწესებულების დაარსებას. ჩვენ  
დღემდის მოკლებული ვიყავით აქ ამ საჭიროებას  
რისკამო იძულებული ვხდებოდით მიგვეშარათ იქ,  
სადაც ესრეთი საშუალებანი არსებობენ, მაგრამ  
სამოთხისა გამო ბევრს მოთხოვნილებას ვაკლებო-  
დით და ჩვენ საჭიროებას ჩვენ დროზედ ვერ  
ვასწრაფებდით. დღეს კი ღვთის მადლით ვედირ-  
სეთ და მოვესწარით აქ ფოსტატელეგრაფის გან-  
ყოფილების დაარსებას, სადაც აშკარადგან თავი-  
სუფლად და ადვილათ შეგვიძლია ვისარგებლოთ და  
ჩვენს საჭიროებას სწრაფათ და თავის დროზედ  
დავაკმაყოფილოთ. თუმცა სენი ხალხი და მუტადრე ამ  
საქმის შეგნებულ შირები ადრევე გრძნობდნენ  
არ ფიქრობდნენ აქ ფოსტატელეგრაფის განყოფი-



ღების დაარსებას და მის საჭიროებას, მაგრამ ფიქრი ფიქრად რჩებოდა და განუყოფლობის დაარსება კი ძნელდებოდა და იქნება კიდევ დიდ ხანსაც გაუვლო მის დაარსებაში, ანუ შესაძლო იყო სულაც და დაარსებულიყო, მაგრამ ამ საქმეში ძალიან ხელი მოგვიწყო და დიდი შემწეობა და თანხმობა გავიწვია ბ. გრიგოლ დიასამიძემ, რომელიც წავიძღვრა წინ, შეგვატანა, სძქმეს ხელი მოგვაკიდებინა, მთავრობასთან საქმე გავიწვია, ნათიურათა და გვეხმარა მისი უხვი შეწირულებით და დავაარსებოდა ეს უსაჭიროესი საგანი ჩვენს ეზოში და ჩვენს სახლში, რასათვის დიდი მადლობის ღირსია ჩვენთან ეს ღვთის მოყვარე სახატო ბიძი სანამ ეს ზოცატელეგრაფის განუყოფლობა იარსებებს ჩვენში, მისი სიკეთე და მრავალ მადლობით მოხსენება ამ საგნის შესახებ არ დავიწყებთ ხალხის ხსოვნაში. მასთან ღირს-მოსახსენებელი არიან კეთილათ და მადლობით და მარადის დაუვიწყარი იქნებან ცხოვრებაში აგრეთვე ყველა ის ბიძები ვისის შრომა-მოღვაწეობით და სასყიდლის შემოღებით და დაარსდა ეს უსაჭიროესი საგანი ჩვენ ცხოვრებაში. როდესაც რაიმე სასარგებლო საერთო საჭირო საქმე კეთდება ხალხში, მაშინ მოვალეა ერთსულებით, ერთსულებით, შეერთებული ძალით იღვწონ, იშრომონ, შეეწიონ ერთმანეთს და შეასრულონ საერთო საჭიროება. ფოსტატელეგრაფი ყველასთვის საერთო საჭიროებას შეადგენს და ყველასთვის საერთო საზრუნველი უნდა იყოს, ვითარცა ეგვიპტისა და შილას. მართალია ამ საქმეში მონაწილეობას მიღება და დახმარება ყველასთვის თავის სურვილზე იყო მიხდობილი, მაგრამ დღეს საჭირო შეიქმნა, რომ ყველამ ვისურვოთ და დავეხმაროთ ერთმანეთს ამ საერთო საქმეში, რადგან, როდესაც დამოხმდა მართ მსურველების გამოღებულმა საშალებმა და შემწეობამ ვერ დააკმაყოფილა ამ საქმის მოთხოვნილება და საჭიროება და გვაქვს ვალი გასასტუმრებელი, ამიტომ იმიტომ გვაქვს რომ ყველა ბიძი ამ დაწესებულების რაიონისა, ურადღებას მიაქცევს და არავინ არ გამოსწეება ამ კეთილ საქმეში და დღეს თუ არა ხვალ მაინც თავის შეძლებისამებრ შემწეობას გაუწევს ამ საერთო დანიშნულებას. ვიტყვი ამასაც, რომ თუ რომელიმე ბიძი სურვილი

გულ გრილობას გამოიჩენს და შეძლებს-სადაგვარად დახმარებას არ გაუწევს ამ საქმეს საჭიროების დროს, მაშინ, რამდენათაც დაუწევარი და სახმარებელი იქნებან ამ საქმის მოღვაწეები და მშრომლები, იმდენათ სუველურის და საძღურაის ღირსნი გამოჩნდებან ისინი ხალხის წინაშე. ჩვენ, რადგან აგვისრულდა ჩვენი სურვილი და დავაარსდა ეს ერთი ჩვენი საჭიროება, ყველამ ხელი უნდა შეუწოთ განუჩეველად წოდებისა და სქესისა ამ საქმეს ყოველგვარ მოთხოვნილებაში და საჭიროებაში, რომ კეთილათ და ბედნიერათ იარსებონ და თავის დანიშნულებისამებრ სამსახური გაიწვიონ. დასასრულ ვილოცავთ რომ ღმერთი შეეწიოს ამ საქმეს, რომ ზატიანათ და დირსუღათ აესრულებინოს მისი წმინდა მოვალეობა და სამსახური ღვთისა და ხალხის წინაშე.

დამსწრე.



### წაღმა-უკუღმა.

მოთარობა კ. წუთისოფლელისა.

იოლა ახალ ცხოვრებას ძალიან კარგათ შეურჩედა. მან თავიდანვე ჩვეულებრივი ბეჯითობით მოკიდა საქმეს ხელი და ზედმიწევნით მიხვედრილობაც გამოიჩინა დაკისრებულ საქმეში. ერთჯერ ნახვა ან სწავლება იყო მისთვის საჭირო, რომ ის სამუდამოდ ჩარჩნოდა ხსოვნაში. ალა განცვიფრებაში მოდიოდა იოლას ქვიანური ქცევით, ბეჯითობით და მუყაითობით; მას უკვირდა, რომ სოფლიდან ჩამოყვანილ ბიქს ქალაქისა არაფერი აკვირებდა, თითქო ის დიდი ხნით ქალაქში ნამყოფი და ნამსახური ყოფილიყო. რაც გინდ უცხო და საყურადღებო ენახა, ის მხოლოდ ერთს შეხედავდა და ისიც იმ გვარად, რომ არავის შეაშინებინებდა, ვითომც მას გაუკვირდა რაიმე, ან დააკვირდა სანახაობას თუმცა ნამდვილად კი ის ერთი შეხედვით იმდენად გაეცნობოდა საგანს, რასაც ათი და-

კვირებით ვერ შესძლებდა ზოგი მისი წლოვანების ბიჭი. პატრონსაც ისე მოეწონა და შეუყვარდა ბიჭი, რომ შვილებში არ არჩევდა. მან ის მრავალგვარი ხერხებით გამოსცადა: ხან ფულს დაუგდებდა, ხან საწუწკარ რამე ხილებს დაჰყრიდა ისეთ ადგილებზე, რომ ბიჭს გვერდი არ აეარა, მაგრამ ვერაფერში ვერ დაიჭირა. ალა დარწმუნდა ბიჭის პატიოსნებაში, საქმეშიაც დაუშვა: კობტად-ლამაზად გამოაწყო და ჩააყენა დახლში, სადაც მას ჩამოჰქონდა თაროებიდან მანუფაქტურის საქოსაქონელი, აჰქონდა, კეცავდა, აწყობდა, ასუფთავებდა და, ერთი სიტყვით, მთელი დღე ჯარასავით ტრიალობდა. ალამ იმდენად ნაყოფიერად ნახა იოლას სამსახური, რომ, ერთი წლის შემდეგ, თვეში ხუთ-ხუთი მანეთი ჯამაგირი გაუჩინა; მესამე წელში მეორე ნოქრის აღბილი დაიკავა და მეექვსეს-პირველისაში ჩაღდა და მთელი დიდგებერთელა სამანუფაქტურა მალაზიას ატრიალებდა, თან დიდ ჯამაგირსაც იღებდა. ახლა კიდევ ითაკილა იოლას დაძახება და იორდანე დაირქვა.

იორდანეს ნდობით ალა სრულიადაც არ შემცდარიყო. ის ისეთი ბეჯითი შეიქმნა საქმეზე, რომ მთელ ქალაქში ტოლი არავინ ჰყავდა. სულ მუდამ საქმეზე ჰფიქრობდა, მახე ზრუნავდა, მას ერთობოდა და მითი ჰხარობდა. უბრალო ხეტიალი და დროს სატარებელ ადგილებში სიარული არ უყვარდა, ის ამა-უზნებლად სთვლიდა და თავის დღეში არ დაუჭერია კავშირი ისეთ ამხანაგებთან, რომელნიც თავისუფალ დროს ლოთობას და ქალაქში წაწალს ანდომებდნენ ხალმე. პირ-იქით, ისეთ პირებს ის ზიზღით უყურებდა და უბრალო გამოლაპარაკებაც კი ეზარებოდა მათთან. თანაშემწეებს და ხელქვეით ბიჭებს ძალიან ერიდებოდათ იორდანესი და საწყენს ვერ ბედავდნენ, რის გამო არც მოსწონდათ და, ერთი შეხედულობით, კიდევ სძულდათ დინჯი და ხასიათ დამჯდარი იორდანე; სამაგიეროთ მისი პატროსანი ქვევა და სამართლიანი მოპყრობა ამ უსამართლო სიძულვილს აქარწყლებდა და ერთი-ორად ფასს უმატებდა მათს თვალში. ხანდახან მეზობელი ამხანაგები

აუხირდებოდნენ იორდანეს და დაუწყებდნენ თხოვას: „აბა აქეთ წვეიდეთ, აბა იქითო; ამა და ამ პადვალში ვიეახშმოთ, მერე ცირკში წვეიდეთ, იქიდან კიდევ... დრო გავატაროთ; რას ჩაჯდომიხარ სულ-მუდამ ვილაც გაბერილი ქართველის ქონებას, თითქო შენი საქუთრება იყოს და ბუზსაც არ აფრენ თაროსა და-თაროს შუა!... დაობლები მაგ დაზღში, თუ ხშირად წმიდა ჰაერი არ ყლაპე და არ გაერთე რითიმე; თუ თავი არ გვეყოლებს, აღების ქონება წყალსაც კი წაუღია და ქვა-ქვაზე ნუ დარჩენილაო...“ მაგრამ იორდანე ღიმილით და უარის გამომხატველი თავის ქნვეით ისტუმრებდა მათ. „გასართობა საკმაოდ მაქვს,— უპასუხებდა ის ტოლ-ამხანაგებს,— რაღა ბაზარში ვიხეტიალო უსაქმოდ, როცა მუშტრები ფუტკარივით დამსევია... მე არ შემძლია აღის ნდობა ბაროტათ მოვიხმარო და თავისუფალი დროც რომ მრჩებოდეს, მაინც თქვენ რომ მეუბნებით იმ ადგილებში სიარულის ნებას არ ვაძლევ ჩემს თავსო“.

— ბიჭო შენ უხასიათო ყოფილხარ, ვიცხა ყოფილხარ!— წამოუძახა ერთხელ იორდანეს მოზობელმა ამხანაგმა.

— რათავარ, ძმაო, უხასიათო? უბრალოთ წანწალი რო არ მიყვარს, იმიზე ვარ განა უხასიათო?— წყენით მიმართა იორდანემ ამხანაგს.

— რა სული წმიდა შენ ერთი გაჩნდი ქვეყანაზე, რომ წანწალი და ხეტიალი არ გიყვარს?! ან რას ქვია წანწალი და ხეტიალი? დროს ტარება განა ხეტიალია? შენ ქალაქში არ უნდა იყვე, ან არაფელს უნდა ხედავდე? შეხედე რა ხალხი დადის დიდი და პატარა, რა მოძრაობაა! აბა ესენი სულ მოხეტიალემანწალანი ყოფილან? თუ ესლა არ შეეჩვიე ცხოვრებას, როდის უნდა ისწავლო? შეხედე, რავე ერთმანეთს ეცნობიან, ერთობიან, რესტორან-პადვალეში წყურვილს იკლავენ, გასართობ ადგილებში დეიარებიან... აწია და სირსხვილიცაა, რომ შენი შეხედულობის ვმწვილი ასე დახლში იყო ჩაკეტილი და გაჩეთ არ გამეიყურებოდე!

— აბა-აბა-აბა! პადვალეში მე დღღერეკით

ვერ შემითრევ, მართალი გითხრა. იქ უნდა მოუხდე და ღვინოში უნდა ჩვეხბრო თავი? მაგას ვერ ვიქ.

— რო არ დეხბრო არ იქნება? პაღვალი როა შიტომ, იქ ცოტაც დეილევა და ბვერიც.

— აბა რა ვიცო, თქვენ იქიდან ფხიზელი თავის დღეშიაც არ გამოსულხართ. იქ წყურვილის მოკვლის და დროს სატარებელ ადგილებში სიარულის რა მოგახსენო... ცნობითაც საკმაო ხალხი მიცნობს და ვიცნობ და ღუბერნატორის და მხანაგებს სრულიათაც არ ვფიქრობ.

— Вотъ чудаки! ეს მხეცია ვიცხაა! შენი ცოდვა ქონდეს მამაშენს, რომ ასე გუგულივით მიუკარებელი გოუზღინხარ!..

— ჩუღაქობა უკანვე წვილღ. ათუ ასე უზღელი ხარ, რომ უბრალო გამოლაპარაკებაც არ იცი, რაღა უნდა, გთხოვ თავი გამანებო. მოხეტიალე ბიჭებთან საქმე არ მქონია და არ მექნება. თუ კაცურ რამეში მიმიწვევ, პირველი ამხანაგი მე გვეოლები, მაგრამ პაღვლებში და სამეძაო ადგილებში ვერ წამოგუობი და ვერც გამოგადგები მაგაში ამხანაგათ.

— რაღა, რაღა? მე შეძახი მოხეტიალეს?

— ოჰო, ეს ახლა ჩუბის გუნებაზედაც მოსულა! წადი გაეთრიე აქედან, თვარა ისე მიგბეგო, რომ ვაი დედა გაყვირო; შენ კარკათ ვერ იცნობ გონია იორდანეს და თუ გაცნობა მოგსთუფებია, მერწმუნე, რომა იათათაც არ დაგიჯდება, — უთხრა რიხიანად იორდანეს და შეუბრალო თვალეზი მოწინააღმდეგეს. მოწინააღმდეგემ აველ-ჩააკლო თვალეზი ახოვან და ლახათიანად მოყვანილ იორდანეს და ვერა გაუბედა რა, ერთიც ჩააკრაქუნა კბილები და განშორდა.

მთელი გუნდი ნოქრებისა მტრად გადაეკიდა იორდანეს და გამართეს შეთქმულობა, ან ძალიან გაელხათ, ან ისე მოეგვარებიათ საქმე, რომ გაეძევებიათ ქუთაისიდან, მაგრამ რა რომ ვერც ერთს მიზანს ვერ მიაღწიეს, ქორემოგონება დაუწყეს და უსიამოვნო ხმებიც დაუყარეს... სამაგიეროთ, საზოგადოდ ვაქრებს ძალიან უყვარდათ და პატრესა სცემდნ

იორდანეს. განსაკუთრებით, მისი ალა აღტაცებაში მოდიოდა იორდანეს ბეჯითობით; ის მეტისმეტად აფასებდა მის ერთგულობას და ჯამაგირის ზევით, ყოველ სადღესასწაულოთ, საჩუქრებსაც უნიშნავდა.

იორდანემ მთელ ქალაქში პირველი ნოქრის სახელი დაიმსახურა, რის ღირსიც იყო ის... საქმის მუყაითს და ბეჯითს, იშვიათი ტანის ღმულობა და სახიერებაც ჰქონდა, ხასიათი სწორი და მიმზიდველი, ენა წყლიანი და მალამოსავით რბილი, მიხვრა-მოხვრა სასიამოვნო და სასიყვარულო. ყველა ამ ღირსებასთან, ვაქრობაც ხომ ზედმიწევნით იცოდა. არ შეიძლებოდა, რომ მას მუშტარი უკმაყოფილოდ გაესტუმრებია. მან საოცრად იცოდა სახიერებით გამოცნობა ადამიანისა. საჭირო იყო ერთი შეხედვა და გამოლაპარაკება, რომ საგსებით გაეცნო მოპირდაპირე; იყო მეტად თავაზიანი და არც მრავალ მეტყველი; ფიცს, ვაქრის ამ უებარ საშუალებას, ის სრულიად არ ხმარობდა, საქონელს აფასებდა პირდაპირ, ასე, რომ მუშტარს მისი ფასი სათაკილოთ არ დარჩენოდა. ყველაზე მეტ საძაგელ ხელობათ მას მოტყუება და ჩარჩული ყოფაქცევა მიანდა და ამიტომ იშვიათად თუ ვინმე დაშორდებოდა ამ დაცემულობას ისე, როგორც იორდანეს ეკავა მისგან თავი. ამისგან, რა საექვოა, ყველა აქებ-ადიდებდა მას და ცოტა-რამ სავაქროსთვისაც ძალიან შორიდან მოდიოდნ მასთან. ასეთი არა ჩვეულებრივი ვაქრობისა გამო, მუშტრები მეტად გაუმრავლდნ იორდანეს და მის ხელში შემოსავალმა ერთიორად და სამადაც იმატა, რისთვისაც მას უტყუარი ნდობით დაკავშირებოდა ალა.

(შემდეგი იქნება).

უოკლად სამღვდლო ლეონიდის მოგსაურთობა გუბაიში.

ათის ნახევარზე მისი მეუფება წაბძანდა ექვდიის ეკლესიაში, რომელიც შორავს ოზურგეთს ნახევარ ვერსით და ჰყოფს ეკლესიას

ქალაქისაგან ლურჯათ მოკამკამე ცელქი მდინარე ჟუჯი. ეკლესია აშენებულია მოხდენილ მალღობზე და მოწყვეტილი ვარსკვლავით დაჰკიათებს ბაღებში ჩაფლულ ოზურგეთს.

ეკლესია თლილი ქვისაა და გაწყობილია ყველაფრით მოსაწონი სამკაულებით. ხსენებული ეკლესიას აშენება-გამშენებისათვის დიდად დამაშვარალა აწ განსვენებული მღვდელი სოლომონ ღუმბაძე, ეტყობა დღევანდელი მოძღვარი სერ. გალოგრეც მოყვარულია ეკლესიის გამშენებისა. ექადიის ეკლესიაში მის მეუფებას შეხვდა ოზურგეთის მაზრის მისიონერი მელქისედეკ ნაკაშიძე თავისი საკუთარი მგალობელთა გუნდით. მღვდელმთავარმა დაარჩია, დალოცა, ხელზე ინთვია მრავლად შეკრებილი ხალხი, შენდობის ლოცვა წაუკითხა მიცვალებულებს, ინახულა ჩინებულიად დაყენებული ადგილობრივი სამრევლო სასწავლებელი და წაბძანდა ოზურგეთის საკრებულო ტაძარში.

ქალაქის ტაძარი იმასთან შედარებით რასაც ამას წინათ წარმოადგენდა, მაღალ შეცვლილია: კედლები საფუძვლიანათ გაუახლებიათ, შეუღესათ და გემოვნებით შეუღებიათ, კანკელი გაუსუფთავებიათ და შეუქციათ გვარიანი ხელობის ხატებით, რომლებსაც ხატავს იქვე ოზურგეთში ვილაცა რუსი. ტრაპეზისა და სამკვეთლოსთვის შეუქცენიათ ახალი შესამოსი და ყველგან გაუმეფებიათ სისუფთავე. ტაძარში ტევა აღარ იყო ხალხისა. ყველას სწყუროდა მოესმინა მღვდელმთავარის მოძღვრება და მიედო მისგან ლოცვა-კურთხევა. პარაკლისზე გალობდა ორი გუნდი ბ. ნაკაშიძის კანანარხობით, მღვდელმთავარი გამობძანდა ამბიონზე და ხალხი სმენად გადაიქცა: „გარდამოიხილე ზეცით, ღმერთო, და იხილე, და მოხედე ვენახსა ამას შენსა, და განამტკიცე ესე, რომელ დაასხა მარჯვენებან შენმა“-ო, ასე დაიწყო მოძღვრება ყოვლად სამღვდელთ. ვინაა ჩვენ შორის ისეთი, რომ ვენახი არ ენახოს? რომელ ქართველ კაცს არ უმუშავია ვენახში? რომელი ქართველის მარჯვენას არ მოუწყვეტნია და არ მოუქრია ვენახში ქარვასავით ყვითელი და

თეთრუმარცხელ შეყრილი ბელტებივით მტევნები? დიდად, ყველა ჩვენგანი იცნობს ვენახს, ყველას განსაკუთრებით გვიყვარს და გვესიამოვნება ვენახში მუშაობა, ვენახში ყოფნა და მისი მზერა, მეტადრე როდესაც იგი დატვირთულია ფართო ფოთლებს ქვეშიდან მორცხვად გამოშჩიხალი ძახის ჯიქანივით სავსე მტევნებით. წმ. ეკლესიის შეხედულებით ჩვენ, ქრისტიანები, შევადგენთ ვენახს, რომლის დამრგველი, მომვლელი და პატრონი თვით ღმერთია. ყოველ წირვის დროს, განსაზღვრულ წამს, მღვდელთ მთავარი, აღკურვილი მარჯვენა ხელში პატროსანი ჯვრით და მარცხენაში ჯვარ-სანთლით, გამოდის საკურთხევილიდან ამბიონზე და მიქცეული პირით მორწმუნეთაკენ, ხმ. ამალეებით გულით შესთხვავს ხოლმე უფალს: გარდამოიხილე ზეცით ღმერთო, და იხილე, და მოხედე ვენახსა ამას შენსა რომელ დაასხა მარჯვენამან შენმანს ეს ლოცვა ჩვენთვის, როგორც მევენახობი. მიმდევართათვის, ცხადა და ნათელია. ვენახის პატრონი გახარებულია მაშინ, როდესაც ვაზებს უხვად ასხია მტევნები, ჩვენც, რადგანაც ღვთის ვენახს შევადგენთ, გავახარებთ და სიამოვნებით აღვავსებთ პატრონს, ზეციერ მამას, იმ შენთხვევაში, თუ სგავსათ მშვენიერი მსხმოიარე ქვეყნიური ვაზისა, თვითეული ჩვენგანი დატვირთული და დახერტილი იქნება სულიერი მტევნებით, ანუ კეთილი მიმართულებით და კეთილი საქმეებით. პირუტყობა, უგუნურობა და გონებრივი სიბნელე ღმერთს სძაგს და ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ ყველაზე პირველად აღვიქუროთ განათლებით შეგნებით გათვითცნობიერებით; ყოველთვის და ყველაფერში ჩვენი ცხოვრება მიმართული უნდა იყოს წინსვლისა და სინათლისკენ, რადგანაც ესაა ჩვენში მსგავსება ღვთისა, ამითია რომ აღვემატებით ყველაფერს ქვეყნიერობაზე.

მაგრამ ჩვენი სწავლა და მეცნიერება, ჩვენი წინსვლა და განვითარება იმ გვარი ხასიათისა უნდა იყოს, რომ მისმა მნახველმა და შემთვისებელმა იცნოს, შეიტკბოს

და სულით და გულით შეიყვაროს ცისა და ქვეყნის უფალი ზეციერი მამა. „ეგრეთ-  
 ჰბრწყინდებინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა  
 რათა იხილნენ საქმენი თქვენნი კეთილნი და  
 აღიდებდნ მამასა თქვენსა ზეცათასა“. ამას  
 გვაძალეებს სწავლულსა და უსწავლელს იესო  
 ქრისტე. ვის შრომასაც ასეთი თვისება არა  
 აქვს, ის შრომა ტყუილი და ამაოა, იგი ნამ-  
 დვილ სინათლეს მოკლებულია და ვერც გზას  
 გაუწათებს ვისმეს და ვერც არავის გაათბოჲს.  
 შემდეგ ჩვენს განვითარებას, ჩვენს სწავლას  
 და წინსვლას უსათუოდ უნდა საგ-  
 ნათ ჰქონდეს, გარდა ღვთის დიდებისა,  
 რამდენადაც ჩვენი პირადი სარგებლობა, იმ-  
 დენად ჩვენი მოყვასისა, ჩვენი ძმისა, ჩვენი  
 მსგავსისა, სიკეთე, სარგებლობა და ბედნიე-  
 რება. ქრისტიანობა იმითია ღვთაებრივი და  
 ყველა სჯულზე უმაღლესი, რომ მან პირვე-  
 ლმა გვაშვილა ღმერთსა, პირველმა გვითხრა,  
 რომ ყველანი ერთი მეორის ღვიძლი ძმები  
 ვართ და ჩვენი ცხოვრება უნდა იყოს განხო-  
 რციელება ერთმანეთისადმი თავდადებულისი  
 ყვარულისა: „ყოველი, რომელი გინდეს თქვენ  
 რათა გიყონ კაცთა, ეგრეთვე თქვენ ჰყავთ  
 მათდა მიმართ“, გვასწავლის მაცხოვარი.  
 საშანელი განსჯის დღეს იესო ქრისტეს მარ-  
 ჯვენით მდგომნი დაჯილდოვდებიან, იმისთვის  
 კი არა, რომ მათ ბევრი იმარხულეს, ბევრი  
 ილოცეს, ბევრი ეკლესიები ააგეს და დიდი  
 ძღვენი შესწირეს უფალს, ან დიდი თხუზუ-  
 ლეები დასწერეს, ფილოსოფიური გამოკვლე-  
 ვით გაამდიდრეს ქვეყნიერობა, დაამკვიდრეს  
 სამაგალითო სოციალური წესები და სხვა  
 ამ გვარები, არა, ღვთის კურთხევის ღირსი  
 ხდება მხოლოდ ის, ვინც თავის სიკაცობე-  
 ში თავის ლუკმის ნახევარს მშვიერს აძლევდა,  
 პერანგს იხდიდა და შიშველს მოსავდა, თითონ  
 იკლებდა, ავთიმყოფისათვის კი წამალს ყიდუ-  
 ლობდა, თავის საქმეს ივიწყებდა და საპყრო-  
 ბილესი მყოფთ კი ყოველ დღე ნუგეშს  
 სცემდა და ამხნევებდა; „მოვედით კურთხე-  
 ულნო მამისა ჩემისანო“, უბძანებს მაცხოვარი  
 იმთ, რომლებსაც სიკაცობეში ამოქმედებ-  
 დათ თავიანთ მსგავსი ადამიანის ერთგულება

და სიყვარული, რომლებიც ცოცხლობდნენ  
 სხვების საბედნიეროთ და საკეთილდღეოთ,  
 რომლებსაც ცხოვრების ერთად ერთ მიზნათ  
 აღიარებული ჰქონდათ ღვთისნიერობა, ღმე-  
 რთთან მიახლოება. ქრისტიანობა მარტო მოძ-  
 ლერება, მარტო მოთხრობა და თეორია  
 როდია არა, იგი თვით ცხოვრებაა, მას აქვს  
 ფასი და აზრი მარტო იმ შემთხვევაში, როდენ-  
 საც მისი მიმდევარნი ახორციელებენ, ასრუ-  
 ლებენ და მთელ თავიანთ ცხოვრებას მარ-  
 ტოდ მარტო მასზე ამყარებენ. ცხოვრება  
 ადამიანისთვის უსათუოდ სააშო, სანუგეშო და  
 სასურველი უნდა იყოს. ასეთიც იქნება, თუ  
 ყველანი გავიმსჭვალებით ურთი-ერთისადმი  
 ძმური სიყვარულით, რომელიც გვექადაგა  
 ქრისტემ და ჩვენს ცხოვრებას დავამყარებთ  
 სახარების საღმრთო მცნებებზე. ბედნიერია  
 ის საზოგადოება, სადაც ქრისტიანობას შეგნე-  
 ბული დაფასება აქვს. ამისთანა საზოგადოე-  
 ბაში, თუ სულ წარმოუდგენელი არა, იშვი-  
 თია, რომ საზოგადოების ერთი წევრი უზომო  
 სიმდიდრეში იყოს, და მეორე კი უკიდურეს  
 სიღატაკეს განიცდიდეს, ერთი ფუფუნებით  
 ცხოვრობდეს, და მეორეს კი მწარე სიღატა-  
 კით სული ძვრებოდეს, ერთი ბატონობდეს და  
 მეორე კი მონობაში ბერდებოდეს. არა,  
 შეგნებული ქრისტიანების საზოგადოებაში  
 უსათუოდ გამეფებულია სიყვარული და ერ-  
 თობა და ალავი არა აქვს ადამიანისაგან ადა-  
 მიანის ჩაგვრა-გატყავებას ან უბრალო იარა-  
 ლა გახდომას.

საუბედუროთ, ბევრგან ქრისტიანებს შო-  
 რის ისეთივე უსამართლობა, უთანასწორობა  
 და ერთმანეთის ჩაგვრა-წამება სწარმოებს,  
 როგორც წარმართთა შორის ეს, რათქმა უნ-  
 და, ქრისტიანობის ბრალი არ არის, აიხსნება  
 იმითი, რომ აღებული საზოგადოები ქრისტი-  
 ანია მხოლოდ სიტყვით, გარეგნობით და  
 ჯერ ჯერობით ვერ მისწლომია ქრისტიანობის  
 არსებითი მხარეს, გარეშე მაყურებლებს არ სურთ  
 საქმეს ჩაუკვირდნენ, არ უნდათ ამ შემთხვევა-  
 ში გამოარკვიონ სინამდღე და ხელ-აღებით  
 გაიძახიან: ქრისტიანობა უძლურია ადამიანთა

ცხოვრების გაუმჯობესობისათვის, იგი ბორკილია კაცის წარმატებისათვის, მან თავისი დრო და უამრავი დიდი ხანია მოკაპა და ახლა კაცობრიობამ უნდა გაკაფოს თავისი საკეთილდღეო გზა გარეშე სარწმუნოებისა და ქრისტიანობისაო. ქრისტიანობა რომ აბრკოლებდეს რითაშე კაცის განვითარებას, აქამდე მისი სახელი დავიწყებული იქნებოდა განათლებისა და თავისუფლების ქვეყნებში. მაგრამ, არა, განათლებული ქვეყნების საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმთავრესი ალაგი უჭირავს ქრისტიანობას. ავიღოთ, მაგალითად, ინგლისი. ეს ქვეყანა ცნობილია კაცობრიობაში განათლებითაც, სიმდიდრითაც, შრომის მოყვარეობითაც და პოლიტიკური სიმძლავრითაც. ინგლისის კულტურის უმთავრესი ღერძი სარწმუნოებაა. მიბძანდით ინგლისში და აუარებელი გარეგნული ფაქტები დაგარწმუნებენ ნათქვამის სინამდვილეში. ეს უმაღლესად შეგნებული და განვითარებული ქრისტიანები კვირა დღეს ისეთი სარწმუნოებრივი კრძალულებით ინახავენ, როგორც მორწმუნე ებრაელები შაბათს. სამღვდლოებასთან ერთად ქრისტიანულ ქადაგებას თავგამოდებით ემსახურებიან ექიმები, ვიქილები და მუშათა პარტიების ხელმძღვანელები. ჰქადაგობენ არა მარტო ვიწრო სამლოცველოებში, გარეთაც ჰაერზე, მერიდებზე და ბაღებში, სადაც კათედრათ ან ამბიონათ ხმარობენ ხოლმე ეტლებს ან დიდრონ კუნძებს. აქ მოსრიადლა უშველებელი მატარებელი სამისიონერო ვაგონებით, რომელთა კედლები დაფარულია საღმრთო წერილიდან ამოღებული საგულისხმიერო წარწერებით და თან მოიყვანა ფასადუბდენებლად მისიონერთა ჯგუფი, იქ მოწყალედები კალიასავით მოსდებიან დუქნებს, ყავახანებს, ცოდვილ სახლებს და თავებს იმტვრევენ, რომ უპატრონონ დაცემულ ქრისტიანებს და შეაგნებინონ მათ ურწმუნოებისა და გარყვნილობის საზიზღრობა; გაიხსენეთ ამასთან ბრიტანიის ბიბლიური საზოგადოება, რომელიც მილიონებს ხარჯავს საღმრთო წერილის გასავრცელებლათ უფასოთ მთელი დედა მიწის ზურგზე და თქვენ დაახლოვებით

წარმოადგენა გექნებათ, რამდენად ღრმადია გამჯდარი სარწმუნოება ინგლისის განათლებულ ერში.

ინგლისისა და მთელი კაცობრიობისაგან ცნობილი სახელმწიფო მოღვაწენი ლორდი ბიკონსფილდი და გლადსტონი ისე არასოდეს დღეს არ დალამებდნენ, რომ რამდენიმე საათი არ ეკითხათ დაბადება. გლადსტონი გავარდენის ეკლესიაში ხშირად იქერდა ხოლმე მქადაგებელი ღვდლის ადგილს და მწყიდა მრევლს. გლადსტონის კალამს ეკუთვნის არა ერთი შესანიშნავი საღვთის-მეტყველო თხუზულება. ჩვენ დროში, დარწმუნებული ვარ, კაცობრიობის ბედნერობა პოლიტიკაზე არ არის დამოკიდებული, სწერს ერთს თავის ბარათში გლადსტონი. დღეს ბრძოლა სწარმოებს აზრთა სამეფოში ღ სამკვდრო-სასიცოცხლო საქმეს გადასწყვეტს უძვირფასეს საუნჯეზე, — ღვთის რწმენაზე და ქრისტეს სახარებაზე, — მიტანილი იერიში „ბატონმა ბალფურმა, ინგლისის სამეფოს ყოფილმა პრემიერმა ძვირფასი თხუზულება დასტოვა ქრისტიანობის შესახებ. რა საკვირველია, ინგლისშიაც ბევრია სარწმუნოების მოწინააღმდეგე, ინგლისშიაც ბევრი რამ ითქვა და დაიწერა სარწმუნოების გასაქარწყლებლად, ინგლისის შვილია მაგალითად, ყველასაგან ცნობილი დარვინი, მაგრამ აღსანიშნია, რომ ურწმუნოთა ქადაგებას და ნაწერებს, არ შეურყვევიათ ინგლისელების სარწმუნოება.

რის მაჩვენებელია ყველა ეს? იმისი, რომ განათლება და ქრისტიანობა გაუყრელებია ერთი მეორისაგან, ჩვენში გამეფდა ურწმუნოება იმიტომ, რომ განათლება გვაკლია. სრულებით არ ვიცნობთ ქრისტიანობას, არ ვცდილვართ ჯერ გონებით შეგვეგნო და მერე ცხოვრებაში გავვეტარებია სახარების მღალღი მცნებები.

გწამდეთ, ძვირფასო მსმენელებო, რომ გარეშე ქრისტესა, არავითარ ძალას, არავითარ პოლიტიკურ წყობას და სოციალურ პირობებს არ შეუძლიანთ მოგვანიჭონ ჩვენ სიცოცხლე და ბედნიერება. გთხოვთ და გვედრებით დაუახლოვდით, რაც კი შეგიძლიანთ,

ქრისტეს მოძღვრებას, გაიცანით იგი ხშირი კითხვით და ბეჯითი შესწავლით, შეიტანეთ თვითმეტყულება ოჯახში ქრისტეს სახარება და ეცადეთ, რომ იგი შეიქნას თქვენი კეთილდღეობის ბურჯი და სიმაგრე.

(შემდეგი იქნება).

№

### სოფ. ქოჩეთი

შორაპნის მახრასი დაბა საჩხერის მახლობლათ არის დიდებული ეკლესია აღმშენებული წმიდა გიორგის სახელობაზე, რომელსაც ეწოდება უდერძის წმინდა გიორგის ეკლესია. აქ ასვენია მთავარ მოწამე გიორგის სასწაულთ მოქმედი ხატი. ამ ხატზე მტყუან პირს არ შეეძლო დაფიცება და მართალსაც ეშინოდა. ამ დიდებულ უდერძის წმიდის გიორგის ეკლესიას ძველ დროში და ეხლაც სწირავდნენ ფულს, უმანკო კრავებს, ზვარაკებს, წმინდა თაფლის სანთელს, ქათმის მამლებს და სხვებს. მასთან იყო ძველათ დანიშნული ამ ეკლესიის სადიდებლათ ღამის თევები აღდგომიდან ამაღლებამდის. ყოველთვის კვირა ღამეს შეიკრიბებოდა ხალხი, ქალი, კაცი და თან წამოიყვანდნენ ბავშვებსაც, თუ ბავშვების წამოყვანას შეპირებული იყვნენ. ბევრი ალექსანდრე ფიხ-შიშვლები მოდიოდნენ. სხვებიც ვერ ბედავდნენ ფეხ-ჩაცმული ეკლესიის გაღაფანში შემოსვლას და ამისთვის იყო დანიშნული ფეხის გასახთელი ადგილები—ერთი ეკლესიის სამხრეთით და მეორე ჩრდილოეთით. აქ უნდა გაეხადათ ფეხი და დაეტოვათ უმწყესურათ, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ არაფერი არ დაიკარგებოდა და მართლაც არ იკარგებოდა. ამ ადგილებს დღესაც ეძახიან მლოცველების სარბევს. იქ მთელ ღამეს აჯარბდნენ ჩვენი მამები დაუძინებლათ

ლოცვაში და ვედრებაში. ამას ერქვა უწინდელი „ღამის თევა“, და მეორე დღეს, ორშაბათს, კი ყოველთვის უნდა ეწირა მღვდელს იმ დანიშნულ ამაღლების ორშაბათამდის. ხალხიც ერთი არ მოაკლდებოდა, ყველა მოისმენდა კრძალულებით წირვას. შემდეგ წირვისა მღვდელი მოჰყვებოდა ხალხის დალოცვას, ლოცავდა ვინც იქ იყო, ამ წირვაზედ, და სხვებსაც; მერე მოჰყვებოდა შეწირვას სანთლისას ფულისას, ცხვრისას, ხარებისას, მამლებისას და თითოეულად ლოცავდა შემწირველს შეწირვის დროს. ხალხი გრძობდა თავის თავზე წმ. მთავარ მოწამის სასწაულ-მომქედებას და აორკეცებდა ლოცვასა და ვედრებას. მაგრამ დღეს კი ჩვენდა საუბედუროთ ეს სასოება დაუკარგა ხალხს ეხლანდელმა უსასო ბიჭებმა: დღეს სულ სხვა მიზნისთვის ხმარობენ ზემოთ აღნიშნულ ღამის თევას ჩვენი არაქელა ვაჟ ბატონები. მართავენ პურ-ღვინის ვაჭრობას, მოდიან „არღანჩიკები“, თვრებიან და რაებს ჩაღიან, აღარ იციან. სამლოცველო სახლი არა თუ „სახლ სავაჭროთ“ გადაუქცევიათ, არამედ საროსკიპოთ. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

მედ. გ. მასაშვილი



**ვაგზაღუბ**  
**სამღვდილო ზ სარიაკუნთ**  
**საბნეუში,**  
აგრეთვე სამასწაკლებლო  
ეგზემენის ასაღებად.

ადრესი: ქუთაისი, კახაკოვის ქუჩა, № 17

**ОБЪЯВЛЕНИЕ.**

**ХУДОЖЕСТВЕННАЯ И ИКОНО-  
ПИСНАЯ МАСТЕРСКАЯ  
А. И. ЖИРЯКОВА**

Въ гор. Кутаисѣ

принимаетъ заказы на иконы и стѣн-  
ную живопись всякой художественной  
работы по весьма умереннымъ цѣнамъ.  
Имѣются одобрителныя отзывы отъ  
преосвящ. ЛЕОНИДА, настоятелей  
монастырей и соборовъ.

**სტამბა**

**„ამოზის“**

ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე, ს. კარიშკევის  
სახლში, გუბერნატ. კანცელარიის ქვეშ,  
დებულობს ეოგელგვარ სასტამბო საქმეებს  
— სულ-მისაწდომ ფასებში —  
ასრულებს სუფთად ზ თავის დროზე.

**განცხადება.**

„შინაური სამუშაოს რედაქციაში“

იყიდება შემდეგი წიგნაკები:

- 1, წიგნი წიგნთა ფასი — — 5 კაპ.
  - 2, სწამთ თუ არა მეცნიერებს ღვთის  
არსებობა — — — 5 კაპ.
  - 3, ქრისტე ღმერთია? — — 10 კაპ.
  - 4, ქრისტიანობა ბებელის ლაბორა-  
ტორიაში — — — 10 კაპ.
  - 5, ათეიზმი, მისი წარმოშობა და გავ-  
ლენა მეცნიერებასა და ცხოვრე-  
ბაზე — — — 10 კაპ.
  - 6, სიკვდილი მართლისა — — 5. კაპ.
  - 7, პატარა ქრისტიანი — — 2. კაპ.
- ვინც ერთად ოც ცალს ან მეტს დაიბარებს  
მანეთზე აბაზი დაეთმობა.

**ღარიბეჭდა**

საბლალოჩინო ვედლომოსტის

**გლანკები.**

მსურველთ შემუძლიანთ მოიკითხონ

**„ამოზის“ სტამბაში**

ქ. ქუთაისში თბილისის ქუჩა კარიშკე-  
ვის სახლი.



რედაქტორი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე.  
გამომცემელი იოსებ ლეჟავა

